№ 196 18 ნოემბერს, პარასკევი 1866—1877 18 ნოემბერს, პარასკევი № 196

**რედაქცია:** სოლოლაკზე, ბალის ქუჩაზე, მელიქიშვილის სახლში, № 43

**კანტორა რედაქციისა:** მელიქიშვილის სტამბაში, ბანოვის ქუჩაზე.

**ხელის-მოწერა:** მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба".

**გაზეთის ფასი:** მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

# დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

**განცხადება:** მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე. **ფასი განცხადებისა:** [illegible] ...ებით ასოზე—1 [illegible] სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის წვრილოთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

**რედაქციას უფლება** აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

მომავალ 1878 წელს გაზეთი

## „დროება"

**გამოვა იმგვარივე პროგრამით და მიმართულებით, როგორც დღევდინ გამოდიოდა ხოლმე.**

ამ უკანასკნელი ნახევარი წლის გამოცდილებამ დაგვარწმუნა ჩვენ, რომ ყოველ-დღიური გაზეთი ჩვენთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს და ამიტომ

**მომავალ წელსაც „დროება" მუდამ დღე გამოვა,**

გარდა ორშაბათისა და უქმეების შემდეგ დღეებისა.

**ხელის-მოწერა**

თ ფ ი ლ ი ს შ ი — „მიიღება დროების" რედაქციის კანტორაში, სტ. მელიქიშვილის სტამბაში (ბანოვის ქუჩაზე, ამატუნის სახლებში).

გ ა რ ე შ ე მ ც ხ ო ვ რ ე ბ თ ა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: *Въ Тифлисъ. Въ Редакцію „Д р о э б а".*

ს ხ ვ ა ქ ა ლ ა ქ ე ბ შ ი შემდეგ პირებთან—„დროების" აგენტებთან—შეიძლება გაზეთზე ხელის-მოწერა:

**გორში**—უფ. ალალო თუთაევთან
**სიღნაღს**—უფ. კოსტ. ბალაშვილთან.
**ახალციხეს**—უფ. იოსებ სულხანოვთან
**ქუთაისში**—უფ. ივ. სვ. მესხთან
**შორაპანში**—მ. დ. ლამბაშიძესთან
**ოზურგეთში**—უფ. ალ. წულუკიძესთან
**ახალ-სენაკს**—უფ. ნიკ. დგებუაძესთან და
**სამტრედიას**—უფ. ლუკა სვ. ავალიანთან.

**ფასი გაზეთისა**

| | | | |
|---|---|---|---|
| მთელის წლისა . . . . . . . . . . . . . | 8 მან. | „ | კაპ. |
| ექვსის თვისა . . . . . . . . . . . . . | 4 „ | 50 | „ |
| ოთხის თვისა . . . . . . . . . . . . . | 3 „ | „ | „ |

მხოლოთ ამ ვადებით შეიძლება მომავალის წლიდამ გაზეთის დაბარება.

უმორჩილესი თხოვნა ხელის-მომწერლებსა და აგენტებს: **ხვედრი ფული გაზეთისა იმის დაბარებისა-თანავე უნდა იქმნეს გამოგზავნილი;** თუ არ თავის აგენტის საშუალებით, ისე რედაქცია უ ფ უ ლ ო თ გ ა ზ ე თ ს ა რ ა ვ ი ს ა რ გ ა უ გ ზ ა ვ ნ ი ს.

---

**ხელის-მოწერა**

**ყოველ-დღიურ პოლიტიკურს გაზეთზე**

## „ОБЗОРЪ" (მიმოხილვა)

მომავალი 1878 წლის 1 იანვრიდამ თფილისში გამოიცემა მუდამ-დღიური დიდი გაზეთი „Обзоръ".

**ხელ-მოსაწერი ფასი** გაგზავნითა და მიტანით, წელიწადში 15 მან; ნახევარ წელიწადში—8 მან; სამ თვეში—4 მან. და 25 კაპ. და თვეში 1 მან. და 50 კაპ. შეიძლება ხუთ-ხუთ მანეთობით შემოტანა ფულისა იანვრის, აპრილისა და აგვისტოს დამდეგს.

ხელის-მოწერა მიიღება ბრიქუროვის წიგნის მაღაზიაში, პუშკის ხიდთან, ა. ზუბალოვის სახლებში; ქალაქს გარეშე მცხოვრებნი ამ ადრესით დაიბარებენ გაზეთს: *Въ Тифлисъ. Въ Редакцію газеты „О б з о р ъ".*

რედაქტორი ნ. ნიკოლაძე
ადმინისტრატორი პ. იზმაილოვი

(3—1)

# ტელეგრამმები

## ბრძოლის ველიდამ

**ბოგოტი,** 15 ნოემბერს. (ოფიციალური). ბუშინ, 14 ნოემბერს დიდ-ძალი ჯარი ოსმალებისა დაეცა ჩვენს პოზიციებს ტროსტენიკთან და მეჩკასთან; ექვსი საათის გაცხარებული ბრძოლის შემდეგ, **დ. თ.** ვლადიმირ ალექსანდრეს ძის ჯარებმა უკუ-აქციეს მტერი და დაღამებამდინ სდიეს იმასა; გასაკვირველის სიცხარით მოგვადგნენ ოსმალოები; ასს ნაბიჯზე უახლოვდებოდნენ ჩვენს ბატარეებს და ამიტომ ბევრი ზარალი ნახეს. ბევრი თავის მოკლულები და დაჭრილები დასტოვეს იმათ ბრძოლის ველზე; რამდენიმე დაჭრილი ტყვედ ავიყვანეთ.

ჩვენის მხრით 300 კაცამდინ არის მოკლული და დაჭრილი; ამათ რიცხვში, საუბედუროთ, ბევრი აფიცრები ურევია.

ხელმწიფე იმპერატორმა ამ საქმისათვის უბოძა **დ. თ.** ვლადიმირ ალექსანდრეს ძეს წმ. გიორგის ჯვარი მესამე ხარისხისა.

ამ დღესვე, 14-ს, ოსმალოს ჯარი მიადგა პოლომარცს; მაგრამ აქ დაყენებული ჩვენი ატრიადი მიეგება მტერს და მდ. ლომის გაღმა გაიდევნა ის.

შუადღეზე დიდ-ძალი ოსმალოს ჯარი პაცელოვოსაკენ გამოემართა; მაგრამ აქაც ცოტაოდენ სროლის ატეხის შემდეგ, მტერმა უკან დაიწია; ამ უკანასკნელ შეტაკებაში ინგუშებისა და ატამანეთების დივიზიონებმა გამოიჩინეს განსაკუთრებულის მხნეობით თავი.

**რაგუზა,** 15 ნოემბერს. ჩერნოგორიელები არ დათანხმდნენ **სკუტარის** გარნიზონის წინადადებაზე, რომ ჯარებს თუ მიეცემა ციხიდამ გასვლის უფლება, თვითონ ამ ციხესა და ქალაქს დაგითმობთო. იმათ აიღეს **ნაჰაპის** ფორტი, რომელშიაც 20 ზარბაზანი დახვდათ.

**ვენა**, 15 ნოემბერს. აქაური გაზეთები ამბობენ, ტყუილიაო ის ამბავი, ვითომც **ოსმალეთს** ეთხოვოს ავსტრიისათვის, რომ მორიგების თაობაზე შუამავლობა იკისროს იმანაო.

**რომი**, 15 ნოემბერს. რომის პაპი ისეთ ნაირად არის ავათ, რომ ექიმებს იმის მორჩენის იმედი ეკარგებათ.

# ომის ამბები

### აზიის ბრძოლის ველიდამ

„ჰავასის სააგენტოში“ 8 ნოემბერს იწერებიან **არზრუმიდამ**, რომ ამ დღეებში მეორედ მოადგნენ რუსის ჯარები **არზრუმს**, ბრძოლა იყოვო, მაგრამ ჯერ ნამდვილი ამბავი არ მიგვიღია და არ ვიცით — როგორ გათავდა ეს ბრძოლაო.

ამ მეორედ **არზრუმთან** შეტაკების თაობაზე ოფიციალურად ჩვენ არავითარი ამბავი არ მოგვსვლია.

—

**ინგლისურს** გაზეთს „Standard“-ში დაბეჭდილია 2 ნოემბერს **ალექსანდრაპოლიდამ** მიღებული დეპეშა, რომელიც გვაცნობებს, რომ რუსები დიდ ჯარს აგზავნიან **ბათუმისაკენ** და იმედი აქვთო რომ ამ ზამთრამდინ აიღებენ ამ **შავს** ზღვაზე საუკეთუროო ნავსადგურსაო.

**თუმცა** ამას წინათაც სწერდნენ, რომ რუსები ორის მხრით — **ოზურგეთიდამ** და **არზრუმიდამ**—აგზავნიან ჯარებს **ბათუმისაკენო**, მაგრამ ეს ამბავი მართალი არ არის: ჩვენ ნამდვილად ვიცით, რომ **ოზურგეთიდამ** (**მუხა-ესტატედამ**) **რიონის** ატრიადს ჯერ ფეხი არ მოუცვლია და ასე ადვილად ვერც მოიცვლის, ვერ გაიწევს წინ, რადგან **ბათუმის** გზაზე იმას დახვდება **ხუც-უბანი**, **კვირიკე** და **ციხის-ძირი**, რომლების აღება, თუ კი ამ ციხეებში ცოტაოდენი გარნიზონი მაინც ჰყავთ ოსმალოებს, ერთობ ძვირად დაგვიჯდება.

მეორეს მხრით, ვერც **არზრუმიდამ** გაიგზავნება ჩვენი ჯარი **ბათუმისაკენ**, სანამ თვითონ ეს ქალაქი (**არზრუმი**) არ აუღიათ.

—

**ერთი ლონდონის** გაზეთის („Daily News“-ის) **ვერან-ყანელი** კორრესპონდენტი შემდეგ დეპეშას იწერება 8 ნოემბერს ამ ახალის რუსის ბანაკიდამ;

„**ბუშინ დ. თ.** კავკასიის არმიის მთავარ სარდალი შევიდა **ყარსში**; იმას გამოეცხადნენ ადგილობრივი მცხოვრებლები და მოახსენეს, რომ ემორჩილებიან რუსის მთავრობას.

„ახლა ნამდვილად ვიცით, რომ **ყარს**ში 20,000 კაცი ყოფილა ოსმალოს გარნიზონი; რუსის ჯარი, რომელმაც ეს გამოჩენილი ციხე აიღო, სულ 18,000 კაცზე მეტი არ ყოფილა. ქალაქი გატენილია ავათმყოფი და დაჭრილი ოსმალებითა; ექიმები ძალიან ნაკლებად არის. აქ საშინლად ცივა.“

—

**ვენის** გაზეთს „Presse“-ში მოყვანილია **მცირე აზიის** ბრძოლის ველიდამ შემდეგი ტელეგრამმები:

„**ყარსის** აღების პლანი ეკუთვნის ღენერალ-ადიუტანტს **ლორის-მელიქოვს**.

„**რუსებმა** აიღეს პატარა ქალაქი **ტოქმა** **არზრუმის** ჩრდილოეთით.

„**სტამბოლიდამ** მოვიდა ამბავი, რომ იქ დამზადებულია სამი დიდი სამხედრო ხომალდი, რომელთაც ახალი ჯარები უნდა მოიყვანონ **მცირე აზიაში არზრუმის** მისაშველებლად.“

—

**ამავე** გაზეთში **არზრუმიდამ** შემდეგ ამბავს იწერებიან 7 ნოემბერს:

„**რუსები** ორი კალონით მოადგნენ **არზრუმიდამ** ორს ვერსზე მდებარე **აზიზიეს** სიმაგრეს და კიდეც დაიჭირეს ის 29 ღვინობისთვეს. მაგრამ, რადგან რუსების ნახევარ ჯარს, როცა **დევე-ბოინიდამ** მოდიოდნენ, გზა დაებნათ, და რადგან ამას გარდა დიდ-ძალი ოსმალოს ჯარი დაეცა იმათ **აზიზიეში**, ამის გამო იძულებული შეიქნენ, რომ ისევ მტრისთვის დაეთმოთ ეს სიმაგრე. **იმათ** ისევ **დევე-ბოინში** დაიხიეს უკან და ამ დროს კარგა საგრძნობელი ზიანიც მიეცათ, რადგან ოსმალოები კვალში სდევდნენ **დევე-ბოინამდინ**.

„მაგრამ ღენ. **გეიმანს** ჯერ კიდევ უჭირავს თავის პოზიცია **დევე-ბოინზე**, სადაც სიმაგრეებს აკეთებს და ჯარისათვის ქოხებს აშენებს. **მთავარი** კვარტირა რუსის ჯარისა **ჰასსან-ყალეში** იმყოფება; რუსებს არაფერი მომზადება არა აქვთ აქ საზამთროთ. **საშინლად** ცივა ამ ჟამად **არზრუმისაკენ**, რადგან მთებზე დიდი თოვლი სძევს.“

—

**ფრანცუზული** გაზეთი „Le Temps“ გვაცნობებს, რომ რუსებს ამ ზამთარში **არზრუმის** აღებას ორი უმთავრესი გარემოება გაუჭირვებსო: ერთი ის, რომ საშინლად ცივა და ჯარს დიდ ხანს გაჩერება **არზრუმის** გარეშემო არ შეუძლიან, და მეორეც ის, რომ თოვლისა და ცუდი გზებისგამო **ალექსანდრაპოლიდამ** ანუ **ყარსიდამ** ციხის ასაღები ზარბაზნების მიტანა ამ ჟამად თითქმის შეუძლებელი არისო და უზარბაზნოთ **არზრუმს** ვერ დაიმორჩილებენო.

—

„**მმართებლობის მოამბეში**“ გამოცხადებულია **უმაღლესი** ბრძანება, რომლის ძალითაც აკრძალულია ყოველ გვარი ხორაგის გატანა სამზღვარს გარეთ **აზოვისა** და **შავი** ზღვით.

—

**ვენის** გაზეთის „Presse“-ის **თფლისელი** კორრესპონდენტი იწერება ამ გაზეთში, რომ **დაღესტნის** დასამშვიდებლად გაგზავნილს ღენერალს **თ. მელიქოვს** გამოეცხადა **ყაზი-ყუმოხების** დეპუტაცია 7 ნოემბერს და სთხოვეს, რომ მოლაპარაკება გვინდა — თუ რა პირობით დაგემორჩილებითო. **მაგრამ** ღენ. **მელიქოვმა** უპასუხა ამ დეპუტაციას, რომ არაფერი მოლაპარაკება და პირობა არ ვიცი, თოფ-იარაღი უნდა დაჰყაროთ და ამით გათავდება საქმეო.

### ევროპის ბრძოლის ველიდამ

**ყარსის** აღების შემდეგ, ზოგიერთა ინგლისურს გაზეთებში კიდევ დაიწყეს ლაპარაკი **რუსეთსა** და **ოსმალეთს** შუა მორიგების ჩამოგდებაზე და **ინგლისის** შუამდგომლობაზე. **სამინისტროს** გაზეთი „Standard“ ამბობს, სხვათა შორის, რომ **უეჭველია**, **რუსეთის** თავმოყვარეობა ახლა სრულიად დაკმაყოფილებული უნდა იყოსო, რადგან **მცირე აზიაში** ასე დაამარცხა იმან **ოსმალეთიო** და ახლა დრო არისო, **ინგლისმა** მორიგების შესახებ წინადადება მისცეს მებრძოლ მხარეებსაო.

**ამ** გაზეთის სიტყვით, **ინგლისი** ვერ მოითმენს, რომ **რუსეთი** **ოსმალეთის** ერთობას შეეხოს, რომ იმან **ოსმალეთის** რომელიმე მიწის დასაკუთრება მოინდომოს; ეს პირ-და-პირ შეეხება **ინგლისის** ინტერესსაო და ამის გამო ჩვენი სახელმწიფო უეჭველად მიიღებს ამ ომში მონაწილეობას, თუ **რუსეთმა ოსმალეთის** რომელიმე ნაწილის სრულიად განთავისუფლება ანუ თავისთვის დასაკუთრება განიზრახაო.

—

**ბოლგარიაში** ბრძოლის საქმის თაობაზე გაზეთის „Politische Correspondenz“-ის **ბუხარესტელი** კორრესპონდენტი შემდეგ ამბავს იწერება:

„**ნამდვილად** შევიტყე, რომ **ოსმან-ფაშას** **პლევნოში** მხოლოთ ამ 20 ნოემბრამდინ აქვს თავის ჯარისათვის საკმაო სასმელ-საჭმელი. მაგრამ რაღა თქმა უნდა, რომ ეს სარდალი იმ დრომდინ არ მოიცდის, სანამ იმას უკანასკნელი ლუკმა საჭმელი გამოელევა: ადრევე ეცდება როგორმე თავი დაიღწიოს **პლევნოდამ**. **ეს** გარემოება კარგათ ესმის ღენ. **ტოტლებენს**, რომელიც **პლევნოს** აღების საქმეს ხელმძღვანელია, და ცდილობს, ისე შეუკრას ყოველის მხრით მტერს გზა, რომ ან სულ არ შეეძლოს **პლევნოდამ** გამოსვლა, ან, თუ გამოვიდა, ნახევარ ჯარზე მეტი არ გაჰყვეს აქედამ.

„**ოსმან-ფაშას** კი თავის მხრით **მეჰმედ-ალი-ფაშის** იმედი აქვს, რომელიც თავის ჯარით **ორხანიეში** დგას ამ ჟამად

იმ განზრახვით, რომ, როგორც საკმაო არმიას მოაგროვებს, პლევნოსაკენ გამოსწიოს ოსმანის დასახსნელად.

„სულეიმან-ფაშაც ამ დროს უცდის, რომ ესკი-ჯუმიდამ წამოიყვანოს თავის ჯარები და ტრნოვს დაეცეს.

—

ლონდონის გაზეთს „Times“-ში შემდეგი დეპეშა არის დაბეჭდილი 6 ნოემბერს სილისტრიიდამ მიღებული:

„სილისტრიასა და ტურტუკაის შუა თითქმის გაუწყნარებელი წვრიმალი შეტაკებებია რუსისა და ოსმალოს ჯარებისა. მე მაცნობებენ აგრეთვე, რომ ტურტუკაისა და რუსჩუკს შუა დიდ ძალი ჯარები გროვდებაო.

„ამას წინათ ამბობდნენ და იწერებოდნენ, ვითომც ოსმალოებს განზრახვა აქვთ ტურტუკაისთან გადავიდნენ დუნაის მარცხენა ნაპირზე რუმინიაშიო და იქ შეუკრან რუსებს გზებიო. ამ საგანზე ახლა აქეთკენ სრულებით აღარა ისმის-რა; ალბათ ეს პლანი ოსმალოებმა მიატოვეს.“

—

ოსმალეთის მმართებლობას გამოუცხადებია სტამბოლში შემდეგი დეპეშა მეჰმედ-ალი-ფაშისაგან სოფიიდამ 6 ნოემბერს მიღებული:

„მე დავათვალიერე ნიშისა და შარკიოის სიმაგრეები და დავრწმუნდი, რომ ამ ქალაქებში საკმაო ჯარები გვყავს და კარგათაც ვართ გამაგრებულნი. ახლა სოფიაში დავბრუნდი.

„ბერკოვეცში დაბანაკებული რუსის ატრიადი სიჩქარით წავიდა ამ ქალაქიდამ, როცა დაინახეს, რომ ჩვენი ჯარები მიუახლოვდნენ იმათ.

—

რუსული გაზეთის „Голосъ“-ის კორრესპონდენტი იწერება ამ გაზეთში სისტოვოდამ:

„სისტოვოში რუსები ამზადებენ საზამთრო ბინაკს, 100,000 კაცისათვის. ამ განზრახვით რუსის მმართებლობამ შეუკვეთა ვენის ფაბრიკანტებს 400 რკინის სახლისათვის საჭირო მასალები, რომელიც 1 ქრისტეშობისთვისთვის უნდა იყოს დამზადებული და რომლისთვისაც რუსის მთავრობამ ოთხი მილიონი მანეთი ოქროს ფული უნდა მისცეს.

# საქართველო

## დღიური

*** იმ გადაწყვეტილებას გარდა, რომელიც „დროების“ წინანდელ ნომერში იყო მოხსენებული, თფილისის თავად-აზნაურთა უჩვეულებრივო კრებამ, მიიღო კიდევ ბანკი სზედამხედველი კომიტეტისა და გამგეობის ჰაზრი, რომ ზედამხედველ კომიტეტს მიენიჭოს უფლება გადააყენოს სამსახურიდამ ის დამფასებლები ბანკისა, რომელნიც რიგიანათ არ აასრულებენ თავის მოვალეობასაო.

მეორე დღეს სხდომაზე კრებამ წილის-ყრით გადაყენებულის დირექტორის თ. დ. აპალიშვილის მოადგილე ახალი დირექტორი ამოარჩია; კრებამ, რომელზედაც 30 წევრი დაესწრო, ერთხმად ამოარჩია ამ თანამდებობაზე ისევ თ. დ. აპალიშვილი.

*** ქუთაისიდამ გვწერენ, რომ ამ თვის 8-ს ერთს იქაურს სასტუმროში შეკრებილა რამდონიმე სტუდენტი, უდლესასწაულებიათ კიევის უნივერსტეტის დაფუძნების დღე და ამ დროს, სხვათაშორის, გადაუწყვეტიათ, რომ ქუთაისის სხვა-და-სხვა სასწავლებლებში მოსწავლე ღარიბ ყმაწვილების დასახმარებელად პატარა წრე ანუ საზოგადოება შეადგინონ; ამ მიზნით შეკრებილ სტუდენტებს ათ თუმნამდინ მოეგროვებიათ.

„ეს ძალიან კარგი და სასარგებლო საქმე არისო, გვწერს ჩვენი იქაური კორრესპონდენტი, მაგრამ ვინატრითო, რომ ამ ახალ დაარსებულ საქმესაც იგივე ბოლო არ ექნეს, რაც ხშირად ჰქონია ხოლმე ბევრს ამგვარ კეთილის მიზნითა და განზრახვით დაარსებულ საზოგადოებასაო.“

*** ერთი ახალი რუსული გაზეთი კიდევ შეგვემატა: დღევანდელი ჩვენი გაზეთის წინა ფურცელზე წაიკითხავთ გამოცხადებას, რომლიდამაც შეიტყობთ, რომ მომავალის წლის პირველი იანვრიდამ უფ. ნ. ნიკოლაძე აპირებს თფილისში რუსული ყოველ-დღიური გაზეთის სახელად „Обзоръ“-ის („მიმოხილვის“) გამოცემას.

*** ჩვენ მოგვივიდა ქარელის სტანციიდამ შემდეგი ახირებული ამბავი:

„ქარელის სატიოზედ, მტკვრის პირზედ, ერთი ქარელელი გლეხის სიძე ისევე გლეხი დათიკა შერმანდინი დგას და ვინც მეტივე მოვა, არ უშვებს, რომ ერთი მანეთი არ წაართვას.

„ეს ამბავი ჩემის თვალით ვნახე და, რასაკვირველია, ვიკითხე მიზეზი ამ უსამართლო და გაუგებარი გადასახადისა. და აი რა მიამბეს მე:

„გორელი ვაჭარი კოსტანტინე ალაიბეგოვი შეკრული არის, ქალაქში, გორაქოვთან, სამასი ტივი უნდა ჩააბაროსო და რადგანაც წყალ-პატარაობა შეიქნა და ტივები გორს ქვემოთ ძველ ნახიდართან ველარ გაიტანესო, იმან ვიდრე ათი თუმანი დახარჯა და იმ ალაგას წყალი შეაგუბაო, რომ თავისუფლათ თავის ტივები გაიტანოსო, და ახლა ამ დაბალ ხალხს ისე აჯერებსო, ვითომც ხალხის გულისათვის გააკეთაო და ამ გვარის ოინობით თითო-თითო მანეთს იღებსო. თუ არ მისცა მეტივემ, აქ მშველელეცა ჰყავს ამ ალ[illegible]-ზავნილს კაცსა დათიკა შერმანდინს ერთი შემოუტევს კნიაზურათ, კნიაზიც გახლამს, ერთ არ გაგატარებთ ქარელშიო, თუ თითო მანეთს არ მისცემთო!..

„ამ ნაირათ, უფ. რედაქტორო, საცოდავს მეტივეებს ჰყვლეფამენ და მერე მოგვაცივდებიან—მდიდრები ვართო; მაგრამ ამას ეგენი ვერ გაბედამენ, თუ აქ „კნიაზი“ შემწე არ გახლდეს.“

## „დროების“ კორრესპონდენცია

გორი, 12 ნოემბერს. ამ მოკლე ხანში მომიხდა წასვლა ქალაქიდგან ფოთში და ერთი ანდაზისა არ იყოს: „წყალს ურია მიჰქონდა და გზაც იქითკენ ჰქონდაო“, გავიზრახე გორში ჩემს ბიძაშვილთან გავლა, რომელიც სამასწავლებლო სემინარიაში სწავლობს.

ეზოში რომ შევედ, დავინახე გროვა მოსწავლეებისა; მე ისინი ვერ ვიცანი მოსწავლეებათ; მაგრამ ამ გროვიდამ გამოვარდა ჩემი ნათესავი და მომეგება; სხვა შაგირდებიც შემომეხვივნენ.

ჩვეულებრივის მშვიდობის ამბავის გამოკითხვის შემდეგ პატარა შაგირდმა გამითამამა და მკითხა:

— კარებში შენი ბიჭი დგას? პურები ხომ არ აქვს ხურჯინში?

— დიახ, ჩემი ბიჭია; მაგრამ პური რათ იკითხე?

— ისე გვშიან, ლამის ფერდი ფერდზედ მიგვეკრას,ქვებიც პურათ გვეჩვენება!

როგორ, უსადილოთ ხომ არ დაუყენებიხართ დღეს?

— დღეს კი არა, რაც აქ შამოვედით, თითქმის უსადილოთ და უვახშმოთ ვართო, მითხრა მესამე შაგირდმა.

„ცოტა პური და შეჭამადი გვეძლევაო, მითხრეს, მაგრამ რაც გვეძლევა, იმის ნახევარსაც არ გვაღირსებენ ჩვენი მოსამსახურეებიო. თითო შაგირდს გარდაწყვეტილი აქვს დღიურ საზრდოთ ორი გირვანქა პური: ერთი გირვანქა სადილზედ და ნახევარ-ნახევარი ვახშამ-საუზმეზედ; ამას გარდა უნდა იყოს სუპი ან ბორში და ქაში, ან კართოფილი, ან შემწვარი ხორცი, და ანუ სხვა რაიმე, მაგრამ ამ შეჭამადს სუყოველთვის ორ-ორ თავად აქცევენ—წვენს ცალკე მოიტანენ და ხორც რვა მისხალზედ ნაკლებს ცალკე. ხორცი ოც-და-ათი შაგირდისათვის ოც გირვანქამდის მოაქვთ; მაგრამ აქედგან მხოლოდ სამს გირვანქას გვაძლევენ ყველას!

„თუ შევჩივლეთ დირექტორს ან ზედამხედველს, ჩვენვე გაგვამტყუვნებენ, თუ არა და ვართ მშიერნი. ეს საზრდო შაგირდისთვის მაშინაც ცოტა იქნებო-

და, რომ არ ვმუშაობდეთ ნასადილევს; მაგრამ, როდესაც ვმუშაობთ, განა ეს ამოამსებს ჩვენს მუცელს და დააკმაყოფილებს ჩვენს კუჭს!

„მე და ჩემმა ღმერთმა, უროკს რომ ვკითხულობდე, სულ პურზედ ვფიქრობ“, წამოიძახა ერთმა შაგირდმა.

ცოტა ფული არისო დადებული შაგირდებისათვისაო! ასე ამბობენ თურმე ამ სემინარიის უფროსები; თუ ცოტა არის-სიძვირისაგამო, მოითხოვონ და უექველია მოუმატებენ.

ბარველი

## თფილისის სამკურნალო

(4-ს აპრილის სახსოვრად)

ერევნის მაედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 8 საათიდამ დილისვე 10 საათიდან.

**ორშაბათს:** ექიმი მინკიევიჩი — ხირურგიულ ავათმყოფობისათვის, ბარალევიჩი და ლისიცევი — შინაგანი ავათმყოფობისათვის.

**სამშაბათს:** ვერმიშევი და მარკაროვი — შინაგანი ავათმყოფობისათვის, თამამშევი — თვალის ექიმი.

**ოთხშაბათს:** ლისიცევი — შინაგანი ავათმყოფ., ქიუჩარიანცი — ვენერიული ავათმყოფობისათვის.

**ხუთშაბათს:** ვერმიშევი — შინაგან ავათმყოფობისათვის.

**პარასკევს:** ლისიცევი და ასატუროვი — შინაგანი ავათმყოფობისათვის და მინკევიჩი — ხირურგიულისთვის.

**შაბათს:** ვერმიშევი და მარკაროვი — შინაგანი ავათფმყოფი., ქიუჩარიანცი — ყურის და ხირურგიულ ავათმყოფობისათვის და თამამშევი — თვალის ავათმყოფობისა.



# განცხადებანი

მეომართა გაჭირვებულ ოჯახების მზრუნველმა თფილისის ქალაქის საზოგადოებამ ამ 1877 წლის 23 ღვინობისთვეს დაიწყო თავის მოქმედება. თხოვნა გაჭირებულ მეომართ ოჯახებისაგან, შემწეობის თაობაზე, მიიღება მუდამ დღე შუა დღეზე ქალაქის გამგეობაში.

ამ საზოგადოების წევრად და იმის კრებებში ხმის მქონებლად ჩაითვლებიან ყველა ის პირნი, რომელნიც ხ უ თ მ ა ნ ე თ ზ ე ნაკლებს არ შესწირავენ.

(2—1)

გვამი გარდაცვალებული **გუჭყიევისა**, მოკლული ყარსის შტურმაზედ, მოსვენებულ არს თფილისში და იქნება იგი გამოსვენებული ფულინოვის სახლიდან, რომელიც არს არსენალის ქუჩაზედ № 31, იქმნება ანჩისხატის საზოროში დასაფლავებული შაბათს ამ თვის 19-ს რიცხვს $9^{1}/_{2}$ საათზედ დილით.

ქვრივი გარდაცვალებულის **ეკატერინე გარისოვნა გუჭყიევისა**, ძმანი და და გულ-მწუხარებით ყოველთ ნათესავთ, მეგობართ და ერთათ მომსახურთ გთხოვთ, რათა პატივი გვცეთ და მობრძანდეთ გამოსასვენებლათ გარდაცვალებულის გვამისა.

იბეჭდება და ამ მოკლე ხანში გამოვა

**„ცოლი ვიტიროთ თუ ფული?“**

ოთხ-მოქმედებიანი კომედია

**უფ. ალ. ა. თუთაევისა**

**გრიქოროვის წიგნის მაღაზიაში,** კუკიის ხიდთან, ზუბალოვის სახლში, **ისყიდება იგავნი კრილოვისა,** თარგმნილი ქართულად თ. **მიხ. გეგუთოვისაგან.** (3—2)

ახლად ყარსიდამ დაბრუნებულ ქართული დრუჟინის მილიციონერს **ტ. გ — ს** „სულთანის“ თამბაქოს მაღაზიაში (გოლოვინის პროსპექტზე) დარჩა და **დაკარგა** ბუმაჟნიკი, რომელშიაც, სხვა ქაღალდებს გარდა, იდვა **ფული** სულ 156 მან. და 80 კაპ.

ვინც ამ ფულს იპოვნის და წარმოადგენს „დროების“ რედაქციაში, პატრონის გადასაცემად, ნახევარს (78 მან. და 40 კაპ.) თვითონ მიიღებს საპოვნელას. (3—3)

ჩაის მაღაზია

## პ. ვ. პოპოვისა,

რომელიც იმყოფებოდა გოლოვინის პროსპექტზე, შიოევის სახლებში, ამ ჟამად გადატანილია **ერევნის მაედანზე, ტერ-ასატუროვის სახლებში.** პატივი მაქვს ვაცნობო პატივცემულ საზოგადოებას, რომ ვისაც კარგი, სუნნოვანი ჩაი ნებავს, მომართოს პირ-და-პირ ჩემთან.

თფილისის მეორე გილდიის ვაჭარი

**რაჟდენ გედინიძე**

# სასესხებელი

მიეცემა

# ფული

**იმ პირობით რომ მოვალემ მუდამ კვირას ანუ თვეში** გადაიხადოს ნაწილ-ნაწილად. უფრო დაწვრილებული პირობების შეტყობა გულაკოვსკისთან, ვორონცოვის ხიდზე, ზუბალოვის სახლებში, ვარშავის ფეხსაცმლის მაღაზიაში, მუდამ დღე დილის 9 საათიდამ ნაშუადღევის პირველ საათამდინ.



| რკ. გზა. | დილ. | | სალამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . | 9 | 21 | 5 | 18 | | | | |
| მცხეთა. . . | 10 | 11 | 6 | 27 | - | 68 | - | 38 |
| გორი . . | 11 | 58 | 9 | 43 | 2 | 40 | 1 | 23 |
| ხაშური . . | 1 | 29 | 11 | 57 | 3 | 92 | 2 | 18 |
| სურამი. . . | 1 | 44 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . | 5 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| რიონი. . . | 6 | 47 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | 7 | 41 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| აბ.-სენაკი . | — | — | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი. . . | 9 | 40 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . | 9 | 13 | | | | | | |
| აბ.-სენაკი. | — | — | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია. | 11 | 16 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| რიონი . . | 12 | 13 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა. . | 1 | 18 | ღამე | | 3 | 98 | 2 | 21 |
| სურამი. . . | 5 | 12 | 1 | 10 | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური . . | 5 | 39 | 1 | 37 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი . . | 7 | 5 | 4 | 8 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . | 8 | 50 | 6 | 59 | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი . | 9 | 31 | 7 | 56 | 9 | 75 | 5 | 42 |

| ტელეგრაფი | მ. | კაპ |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს . . | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნაღს | - | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში. | 3 | 50 |
| ინგლისში . . . . . . . . | 3 | 75 |

### ფოშტა

ა) თფილისიდამ: საზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ. — პარასკ. და ორშ. კახეთს — სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს — ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და საზღვარ გარეთ: | კაპ |
|---|---|
| ღია წიგნის . . . . . . . . | 4 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) . | 8 |

| ბირჟა | მან. | კაპ |
|---|---|---|
| პეტერბურგი, 12 გიორ. | | |
| ერთი ანგვთი ღირს: | | |
| ლონდონში 24 პენსი. | — | 78 |
| პარიჟში 252 სანტიმი. | — | 62 |
| ესკონტი (სარგებლისფასი) | $7^{1}/_{2}$ | |
| ბანკის ბილეთი 5%. | 95 | [illegible] |
| მოგებიანი (პირველი სესხი) | 21 | [illegible] |
| მოგებიან. (მეორე სესხი) | 215 | [illegible] |
| გირაოს ფურცლები: | | |
| ფილ. სააზნ, ბანკისა. | — | |
| ხერსონის ბანკის ( ) | 85 | 25 |
| ტსკოვის ( ). . . | 85 | 50 |
| ა ქ ც ი ე ბ ი: | | |
| ოდესის სავაჭრო ბანკის | 177 | — |
| ფოთი-თფილ. რკინ. გზ. | — | — |
| შავი ზღვის ცეცხ. გემებ. | 527 | — |
| კავკასის და მერკური | 225 | — |
| პირვ. საზღვევ. საზ. | 745 | 50 |
| პეტერბ. საზღვევ. საზ. | 235 | 50 |
| მოსკოვის საზღვევ. საზ. | 268 | — |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი, 16 გიორგობ | | |
| ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფუთ. | 1 | 90 |
| ფქვილი წითელი . . | 1 | 45 |
| ქერი ფუთი . . . | 1 | 25 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 8 | 20 |
| — ამერიკისა, ფუთი . . | 8 | 50 |
| ბაპენტილი ბამბა ფუთი. | 9 | 50 |
| მატყლი თუშური ფუ. | 7 | — |
| — თარაქამისა ფუ. . | 3 | 50 |
| აბრეშუმი ნუხური სტ. | 3 | — |
| ქონი, ფუთი. . . | 5 | 80 |
| ქონის სანთელი ფუთი. | 8 | — |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 12 | 54 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 54 |
| — ცხვრისა, ლიტრა . | — | 63 |
| სპირტი, გრადუსი . | — | 12 |
| შაქარი, ბროც. ფუთი . | 8 | 20 |
| — ფხვნილი ფუთი . . | 7 | 20 |
| ყავა გოგვალი, ფუთი | 26 | — |
| ზეთი ქუნჯუთისა ფუთ. | 12 | — |
| ოქრო ½ იმპერიალი. . | 8 | 18 |

Дозволено цензурою. Тифлисъ, 17 Ноября 1877 г. Типографія Меликова. გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.